# საქართველო

№ 2 (29) ქართული ლეგიონის ყოველ-კვირეული გაზეთი 10 იანვარი 1943 წ.


# ჩვენ მივაღწევთ ბრწყინვალე გამარჯვებას

## (ადოლფ ჰიტლერის საახალწლო მიმართვა)

ახალი წლის დღეს ადოლფ ჰიტლერმა მოწოდებით მიმართა გერმანიის შეიარაღებულ ძალებს, რომელშიც მან ჩამოთვალა 1942 წლის სამხედრო ოპერაციათა შედეგები: ყირიმის საბოლოო აღება, დონის ბასეინის დაჭერა და შეტევა, რომელმაც მიაღწია ვოლგამდე. მიუხედევად ბრძოლის მთელი სიძნელეებისა გამარჯვება დარჩება გერმანიას.

სხვა ფრონტებზე გერმანიის იარაღმა დაამტიცა — დიეპთან — ევროპის კონტინენტზე დესანტის გადმოსხმის შეუძლებლობა. საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროების დაკავებამ ტუნისისა და ბიზერტის დაჭერამ შესაძლებლობა მისცა გერმანიასა და იტალიას მოეპოვებინათ მნიშვნელოვანი პოზიციები ომის წარმოებისათვის ჩრდილო აფრიკაში.

მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია ევროპის ერების ერთიანობა, რომლებიც იბრძვიან გერმანიასთან ერთად. **„მადლობა ღმერთს, ევროპამ დააღწია თავი ბოლშევიკთა, ებრაელთა და კაპიტალისტთა შეთქმულებას“.**

1943 წელი შესაძლოა იყოს უფრო მძიმე, ვიდრე გასული წელი. მაგრამ ერთი კი ნათელია: ამ ბრძოლაში არ შეიძლება იქნას დაშვებული რაიმე კომპრომისი. ევროპას ესაჭიროება ხანგრძლივი მშვიდობიანობა თავისი განვითარებისათვის, ახალი სოციალური ქვეყნის აგებისათვის.

ომის დაწყებიდან მეოთხეჯერ მიმართავს ადოლფ ჰიტლერი გერმანელ ხალხს, რომ ომი, რომელიც მოახვიეს თავს გერმანიას, წყვეტს მისი ყოფნა-არყოფნის ბედს. გასულ საუკუნეებში ომები გამომდინარეობდნენ დინასტიურ ინტერესებიდან. გერმანიის პირველი იმპერიის დაცემის შემდეგ, გერმანიის ხალხი იძულებული იყო საარსებო პური მოეპოვებინა სხვაგან. გერმანია სულ უფრო და უფრო გადაიქცა პოეტთა და მოაზროვნეთა ქვეყანად.

როცა პრუსიის სახელმწიფომ იწყო აღორძინება, დაიწყო ცდები ამ მოძრაობის შესაჩერებლად სამხედრო ძალებით...ომები მიმართულნი გერმანიის წინააღმდეგ მიზნად ისახავდნენ—გერმანიისა და იტალიის ხალხთა სასიცოცხლო მოთხოვნათა უარყოფას, სიძულვილს ძლიერი გერმანიის მიმართ, რომელიც ფლობდა შუა ევროპას და ბოლოს კაპიტალისტურ ინტერესებს. **სავსებით ბუნებრივია, რომ ამ ლაშქრობის ორგანიზატორი იყო ის ძალა, რომელიც ცხოვრებაში ხსნას ხედავს მხოლოდ და მხოლოდ ოქროთი. ამ ძალისათვის უცხოა საკაცობრიო ეთიკა. ის მდიდრდება ყველა ომის დროს. ეს არის საერთაშორისო ებრაელობა“.**

1914-18 წლის მსოფლიო ომის შედეგად საერთაშორისო საქმოსნებმა რომლის ზურგს უკან იდგნენ ებრაელები, შესძლეს მოეტყუებინათ გერმანელი ხალხი, დაესუსტებინათ იგი შინაგანი რევოლუციით. ვილსონმა ჩაიდინა უდიდესი სიყალბე მსოფლიო ისტორიაში. ამ დღიდან გერმანიის ხალხის თვალში ამერიკელთა „პატიოსან“ სიტყვას არავითარი ფასი არა აქვს.

**გერმანიის ხალხი ახლა სრულიად სხვა არის, ვიდრე იგი იყო 1914-18 წლებში. მაშინდელ ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ კლასიური სახელმწიფოსაგან წარმოიშვა სახალხო სახელმწიფო.** მე თვითონ,—განაგრძობს ადოლფ ჰიტლერი, მსოფლიო ომის გამოცდილებათაგან გამოვიტანე ჩემი მომავალი ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობა. მიმდინარე ომის დროს გერმანიის ხალხი სულ უფრო და უფრო იმსჭვალება ნაციონალ - სოციალისტური იდეებით. **ამ ომის შემდეგ, ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფო იქნება ევროპის შეურყეველი და მიუვალი საფუძველი. ამავე დროს ეჭვს გარეშეა, რომ ეს სახელმწიფო განაგრძობს ბრძოლას თავისი ერის არსებობისათვის სულ სხვა გვარი ენერგიით, ვიდრე წინანდელი გერმანია.**

1939 წლის 1 სექტემბერს მე განვაცხადე რაიხსტაგის წინაშე: საერთაშორისო ებრაელობის იმედები იმაზე, რომ ამ ომში განადგურდებოდა გერმანელი ახხლი და აგრეთვე ევროპის ერები, არ გამართლდა. ებრაელთა ეს ზრახვა ყველაზე უფრო დიდი შეცდომაა, რაც კი მათ ჩაუდენიათ თავიანთი არსებობის ისტორიაში. **დღეს უკვე ცხადია, რომ დაიღუპება არა გერმანიის ხალხი, არამედ ებრაელობა მიიყვანს თავის თავს სრულ დაღუპვამდე. ერთხელ კიდევ უნდა დაისაჯოს ეს წყეული რასა, რომელიც აბამს ხალხს ომში. ებრაელთა რასა არის ახლანდელი ომის წამომწყები.** ეს შეიძლება დავამტკიცოთ. ის ფაქტი, რომ ამ ომში ევროპის ნაციონალური სახელმწიფოების წინააღმდეგ მონაწილეობენ სხვა და სხვა გვარი ძალები როგორც ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები, ისე ამერიკა და ბოლშევიზმი, რომლებიც გაერთიანდნენ საერთაშორისო ებრაელობის ხელმძღვანელობით. ებრაელთა „ტვინის ტრესტი“ რუზველტთან: ებრაელთა პრესა, ებრაელთა რადიო, ებრაელთა პარტიული ორგანიზაციები სავსებით შეესაბამებიან საბჭოთა კავშირის მმართველ ფენებს.

ამ ომში ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფო ხელმძღვანელობს ორი გამოსავალი [illegible]. [illegible] არაფერი [illegible] ცუდი საფრანგეთის, ინგლისისა და არც ამერიკის მიმართ. ჩვენ არ მოვითხოვდით ამ ქვეყნებისაგან ისეთ რამეს, რასაც შესაძლოა მოჰყოლოდა ომის საბაბი, მაგრამ თვითეულ ჩვენს წინადადებას მშვიდობიანობის შესახებ თვლიდნენ როგორც ჩვენს სისუსტეს და უცვლელად უკუაგდებდნენ“. **მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ომი აუცილებელია, ჩვენ გადავწყვიტეთ ვაწარმოოთ იგი მთელი ჩვენი ფანატიკურობით, რაშიაც შესწევთ ძალა ნაციონალ-სოციალისტებს. ჩვენ მივიყვანთ ამ ომს ნათელ გადაწყვეტილებამდე, რომლის შემდეგაც ჩვენს შემდგომ მოდგმას არ დაატყდება თავს მსგავსი კაპიტალისტური კატასტროფის განმეორების მუქარა.**

გერმანიის ხალხს, რომ 1918 წელს არ დაეჯერა ვილსონის ტყუილებისათვის და განეგრძო ბრძოლა რკინისებური წრმენით, მტერი განადგურებული იქნებოდა. ეს ასე არ მოხდა. მაგრამ ასეთი ფაქტი გერმანიის ისტორიაში შესაძლოა მხოლოდ ერთხელ. ამაოდ იმედოვნებენ მოკავშირეები ინგლის-ამერიკელი ებრაელები იმაზე, რომ დაქუცმაცდეს გერმანიის სახელმწიფო და გადაიქცეს იგი კაპიტალისტებისა და ბოლშევიკების კერძად. **ნაციონალ-სოციალისტური გერმანია არაოდეს დამარცხდება და არ მოახდენს კაპიტულაციას. პირიქით თავისი ისტორიის დიადი ფურცლების სულით ის დაამთავრებს ამ ომს ბრწყინვალე გამარჯვებით. ნაციონალ-სოციალისტური პარტია არის ურყევი გარანტია ამ გადაწყვეტილებისა. ჩვენ გვაქვს უფლება დავრწმუნდეთ ამ გამარჯვებაში, ჩვენი საკუთარი ძალებით, ჯარისკაცთა სიმამაცით, მუშათა ერთგულებით და ევროპის მოკავშირე ერების ძლევამოსილებით.**

გასულ წელს გერმანიისა და მისი მოკავშირეთა სახელმწიფოების არმიებმა შესძლეს ევროპიდან შორს უკუეგდოთ ბოლშევიკური ფრონტი. ამაში ზურგში გვეხმარებოდნენ ქალები და მამაკაცები. მომარაგება უზრუნველყოფილი იყო გერმანელი გლეხებისა და გლეხი ქალების შრომით. ჩვენი ქვეყნის მილიონობით მუშებმა არა მარტო უზრუნველჰყვეს არმია საჭირო იარაღით, არამედ შეჰქმნეს შეიარაღება იმაზე ძლიერი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო. ამ დარგში თუ რას აკეთებს ამერიკა ეს ცნობილია მხოლოდ სიტყვებიდან, სინამდვილეში რა გააკეთეს მათ ეს გაუგებარია. მაგრამ ის, რაც შექმნილია გერმანიისა და ევროპის მიერ, ამაში ნათლად დარწმუნდებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი წლის დასაწყისში.

მოწოდების დასასრულს ადოლფ ჰიტლერი მიმართავს პირველ რიგში გერმანელ ჯარისკაცს, რომელიც სწერს ახალ საამაყო ფურცლებს გერმანიის ისტორიაში. **ამ ბრძოლაში ბოლოს და ბოლოს დადგება საათი, როცა რომელიმე ძალა დაინგრევა. ჩვენ ვიცით, რომ ასეთი ძალა გერმანია არასოდეს არ იქნება.**

ომის შემდეგ დამყარდება ხანგრძლივი მშვიდობიანობა, რომელსაც ჩვენ ვუცდით და რომელიც საჭიროა ჩვენი სახალხო საზოგადოების ასაგებად. ეს იქნება ნამდვილი უკვდავი ძეგლი იმათთვის, რომლებიც გმირულად დაეცენ ბრძოლის ველზე“.

## დოქტორ გებელსის სიტყვა

ახალი წლის დღეს იმპერიის მინისტრმა დოქტორ გებელსმა სიტყვით მიმართა გერმანელ ხალხს, რომელშიც მან შეაჯამა ბრძოლის ზაფხულის ოპერაციათა შედეგები აღმოსავლეთის ფრონტზე. ამ შეტევამ,—განაცხადა დოქტორ გებელსმა,—გერმანიის არმიას მისცა ორჯერ მეტი სივრცე, ვიდრე ბრიტანეთის კუნძულებია. მტერმა დაჰკარგა ნედლეულის ძირითადი ცენტრები. გერმანიის სამხედრო პოტენციალი გაიზარდა. 1942 წელი წარმოადგენდა გერმანიისა და მისი მოკავშირეთა გამარჯვების რწმენის წელს. ევროპაში გერმანიასთან ერთად აწარმოებს ბრძოლას იტალიელი, ფინელი, რუმინელი, უნგრელი და სლოვაკი ხალხი. თითქმის ევროპის ყველა დანარჩენი ერები ჩადგნენ გერმანიისა და მოკავშირეთა რიგებში ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იაპონიის ხალხი აღსდგა ინგლის-საქსონელთა გარემოცვის დასამსხვრევად. ყველა კონტინენტმა იგრძნო ძვენი იარაღის ძალა. აზიაში და ევროპაში მოქმედებენ ახალგაზრდა ერების სულიერი და მორალური აღორძინების ძალები. ეს ომი დასრულდება მთელს მსოფლიოში ახალი წესრიგით, რომელიც დიდი ხანია სწყურია კაცობრიობას.



გერმანელთა ტანკები ტუნისში

# მდგომარეობა ფრონტებზე

დონის რაიონში გრძელდება მძაფრი თავდაცვითი ბრძოლა. გერმანელებმა მოიგერიეს და უკუაქციეს ბოლშევიკების იერიშები ყველა ფრონტზე. კალუგის დასავლეთით გერმანიის არმიის შეტევითი ოპერაციები წარმატებით დასრულდნენ, განადგურებული იქნა საბჭოთა ბატალიონი, დანგრეულია 95 გამაგრებული პუნქტი და სიმაგრე. გერმანელებმა ხელში ჩაიგდეს მრავალი ტყვე.

ბოლშევიკებმა გაიმეორეს ძლიერი იერიშები ველიკი ლუკის გამაგრებულ პუნქტზე, მაგრამ უკუგდებული და განადგურებულნი იქნენ გერმანელთა ჯარების მიერ, რომელთაც ეს პუნქტი ეჭირათ. მრავალრიცხოვანი ტანკების დახმარებით ბოლშევიკებმა კვლავ განაახლეს შეტევები ილმენის ტბასთან.

ლიბიაში არტილერიის ძლიერმა ცეცხლმა არ მისცა საშუალება მტერს წამოსულიყო წინ. ტუნისში გერმანიის არმიის საიერიშო ოპერაციები წარმატებით მიმდინარეობენ, აღებულია ახალი სივრცეები. ბონის ბომბარდირების დროს ჩაძირულია მტრის ერთი სავაჭრო გემი, რომლის წყალწყვაც 10 ათას ბრუტტო-ტონას უდრის.

ორანის მახლობლად გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ამერიკელთა ტრანსპორტი 8 ათასი ბრუტტო-ტონისა. საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროებზე საჰაერო თავდასხმებისას ბრიტანეთის ავიაციამ პირველი ცნობების მიხედვით დაჰკარგა 15 მრავალმოტორიანი თვითმფრინავი. ღამით 30 და 31 დეკემბერს გერმანიის ესკადრილიამ ყუმბარები დაუშინა კაზაბლანკას მაროკოში.

საზღვარზე ბირმასა და ინდოეთს შორის განახლდა საომარი ოპერაციები. იაპონელებმა აქ თავი მოუყარეს მსხვილ ძალებს, რომელთაც არა მარტო თავდაცვითი დანიშნულება აქვთ. იაპონიის ავიაცია აწარმოებს ძლიერ საჰაერო თავდასხმებს ბრიტანეთის ჯარებზე. განსაკუთრებით ძლიერია იერიში განგის ქვემოდინების რაიონში. იაპონიის არმიის ერთმა ჯგუფმა გაანახლა იერიში სამხრეთ იუნნანში.



გერმანელთა მიერ ტუნისში განადგურებული ამერიკელთა ქვემეხები

## გენერალ ჟიროს განცხადება

ლისაბონიდან იტყობინებიან, რომ თანახმად „ექცენზ ტელეგრაფის“ განცხადებისა, ყოფილმა გენერალმა ჟირომ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, ადმირალ დარლანის მკვლელობასთან დაკავშირებით, 12 პიროვნების დაპატიმრების შესახებ. „დადასტურებული ფაქტია, — სთქვა ჟირომ, — რომ არსებობდა შეთქმულება, რომლის მიზანს შეადგენდა არა მარტო დარლანის მოკვლა, არამედ აგრეთვე რუზველტის მოგზავნილის და ჩემი მოკვლაც. დაპატიმრებულნი, რომელთა შორის არიან ჩემი მახლობელი მეგობრებიც, იმყოფებიან სეკრეტში.“.

ტანჟერიდან იუწყებიან აგრეთვე იმის შესახებ, რომ ალჟირში დაპატიმრებულია 12 მოქალაქე, რომელთაც ბრალს სდებენ ზემოდ ღნიშნულ ტერორისტულ ჯგუფში მონაწილეობაზე. თვითეულ ამ მოქალაქეს ეჭირა პასუხსაგები თანამდებობა.

ბრძოლა ძალაუფლებისათვის ჩრდილო აფრიკაში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. რეიტერის ცნობით ამ დღეებში დე-გოლი გამოვიდა განცხადებით, რომელმაც დაადასტურა რა ცნობები საფრანგეთის აფრიკაში მღელვარებისა და უწესრიგობის შესახებ, მიუთითა რომ ამ უწესრიგობათა მიზეზები არის მისი ოფიციალური წარმომადგენლების უყოლობა აფრიკაში. დე-გოლი მოითხოვს ცენტრალურ ხელისუფლებას საფრანგეთის კოლონიებზე.

## მდგომარეობა ეგვიპტეში

გაზეთ „კუმურიეტის“ კორესპონდენტი დორგული ისტამბულიდან იუწყება, რომ მდგომარეობა ეგვიპტეში ყოველდღიურად მძიმე ხდება. ამ რამდენიმე ხნის წინად ქაირში ეგვიპტელ სტუდენტა ჯგუფს, რომელიც იდგა ტრამვაის სადგომთან, ხელის ყუმბარა ესროლა ავტომანქანით მიმავალმა ინგლისელმა ჯარისკაცმა. ერთერთი სტუდენტთაგანი მოკვდა. ამ შემთხვევამ ძლიერი მღელვარება გამოიწვია მოსახლეობაში, მოკლულის დასაფლავება გადაიქცა ნამდვილ ანტი-ბრიტანულ დემონსტრაციათ.

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ეს შემთხვევა მოხდებოდა, ხმა გავრცელდა ზოგიერთი დეპუტატის დაპატიმრების შესახებ. ამ საკითხის გამო აღძრულ შეკითხვებზე პარლამენტმა პასუხი არ გასცა. თვით ნაჰას-ფაშას სურს თავიდან მოიცილოს ყოველგვარი პასუხისმგებლობა. ბანკეტზე, რომელიც მოწყობილი იყო მის პატივსაცემად, ნაჰას-ფაშამ წარმოსთქვა სიტყვა და ახსნა საგანგებო რწმუნების შემოღება ქვეყანაში დამყარებული საალყო მდგომარეობით.

დორგნული ადასტურებს, რომ ნამდვილად ზოგიერთი დეპუტატები მიუხედავად თავიანთი იმუნიტენტისა დაპატიმრებულნი იქნენ ინგლისის ხელისუფალთა ბრძანებით. ამჟამად ეგვიპტემ დაჰკარგა ყოველგვარი თავისი დამოუკიდებლობა და იმყოფება მთლიანად ბრიტანეთის ხელისუფალთა განკარგულებაში.

## საფრანგეთის მაროკოს გაყოფა

ინგლისელებმა ამერიკელებთან მოლაპარაკებით, მიაღწიეს შემდეგ შეთანხმებას, ჩრდილო აფრიკის ბუნებრივი სიმდიდრეთა ექსპლოატაციის საკითხში. როგორც ლონდონის სავაჭრო პრესა იტყობინება ეს შეთანხმება მდგომარეობს იმაში, რომ ამიერიდან ამერიკელებმა მიიღეს საექსპლოატაციოთ მარგანეცის, კობალტის მაღაროები და საცობის პლანტაციები. ინგლისელებს კი ეძლევათ რკინის, პირიტის, ფოსფატის, თუთიის და ტყვიის საბადოები.

მარგანეცის მოპოება ჩრდილო აფრიკაში უკანასკნელ წლეებში უდრიდა 200.000 ტონას.

## საფრანგეთის სომალის აღება

ინგლისის ჯარების მთავარსარდალმა აბისინიაში, გენერალ გოპკინსმა, შესწყვიტა რა მოლაპარაკება საფრანგეთის გუბერნატორთან, ბრძანება მისცა ბრიტანეთის ჯარს დაიკავოს საფრანგეთის კოლონია სომალი. 28 დეკემბერს ინგლისელებმა დე-გოლის რაზმთან ერთად მიაღწიეს ჯიბუტი-ადის-აბებას რკინისგზის ხაზს და დაიკავეს სიმაგრეები ბუე და მეგადუ.

ამასთან დაკავშირებით და აგრეთვე გენერალი ჟიროს დანიშვნისსაპასუხოდ, მარშალ პეტენმა გადასცა ფრანგულ პრესას საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება, სადაც ის ადასტურებს, რომ გენერლები და ოფიცრები, რომლებმაც თავიანთი ბედი დაუკავშირეს მოკავშირეებს, არა აქვთ უფლება იყვნენ საფრანგეთის ინტერესების დამცველნი და აწარმოონ მოლაპარაკება საფრანგეთის სახელით.

## არასასურველი სტუმარი

ვაშინგტონის გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩან-კაი-შეკის ცოლის სტუმრობა მოსკოვში საბჭოთა კავშირისათვის ჯერ-ჯერობით სასურველი არ არის.

უარი საბჭოთა სელისუფლების მიერ, დასაბუთებულია იმ აზრით, რომ მას არ სურს მდგომარეობის გართულება შორეულ აღმოსავლეთში.







**მარცხნივ:** გერმანელი ჯარისკაცი ნანადირევით, **შუაში:** გერმანელთა ლაშქრობა კარელიის ტყეებში, **მარჯვნივ:** გერმანელი მეთვალყურე აღმოსავლეთისფრონტზე.

# ბრძოლა სამშობლოსათვის

### (ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქალაქ ნ-ის ახლოს მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა. გერმანელთა გამანადგურებელი იერიშების შედეგად დაქსაქსული და თავზარდაცემული საბჭოთა მე-37-ე არმია უკუიქცა, თავი შეაფარა კავკასიის ტყიან მთის კალთებს. მტერი იკრეფდა ძალას და ეძებდა ხელსაყრელ მომენტსგანევითარებია შეტევა. მე-37-ე არმიის მე-2-ე დივიზიის ერთ-ერთი პოლკი, რომელიც ავანგარდში იმყოფებოდა, გადმოვიდა იერიშზე. 4 დეკემბერს დივიზიამ გახსნა ცეცხლი და გადმოისროლა ძალები სოფ. ხ-სთან. ამ რაიონში ბოლშევიკების წინააღმდეგ გმირულად იბრძოდნენ რუმინული, უკრაინული და აზერბეიჯანული სამხედრო ნაწილები. მრავალრიცხოვანი მტერი აწარმოებდა გაათრებულ შეტევას, არ ზოგავდა არაფერს ოღონ მოეგო სივრცე. რუმინულმა, უკრაინულმა და აზერბეიჯანულმა ნაწილებმა დიდი ბრძოლების შემდეგ დაიხიეს უკან.

სოფელ ახალ უ-ში გადახდილი ბრძოლების შემდეგ ისვენებდა პირველი ქართული საველე ბატალიონი. ბატალიონს სრულიად მოულოდნელად მოუხდა მტერთან შეხვედრა. იმ დღეს დილით ბოლშევიკებმა დაიჭირეს მაღალი მთები, რომლებიც სოფელ ახალი უ-ის მახლობლად მდებარეობენ. მცირე წარმატებით თავგასული მტერი ცდილობდა განეგრძო შეტევა. ქართული ბატალიონი პირისპირ შეხვდა მას. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მტერს ეჭირა გაცილებით უკეთესი პოზიცია. მრავალმა ლეგიონერმა ისახელა თავი ამ ბრძოლაში. ცეცხლი და ხელჩართული შეტაკებანი გაგრძელდნენ საღამომდე. ბოლშევიკების ჯარები უკუიქცნენ, ქართულმა ბატალიონმა მათ გზა გადაუჭრა. მტერი კვლავ ემზადებოდა ახალი ძალებით გაეშალა შეტევა. 5 დეკემბერს უკვე მოვიდა გერმანელთა მაშველი ძალები, დამხმარე ნაწილების მოსვლამ ქართველ ლეგიონერებში გაათკეცა ბრძოლის უნარი, ენტუზიაზმი. გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად ქართველმა ლეგიონერებმა განავითარეს მტრისათვის თავზარდამცემი შეტევა. ისინი გმირული ბრძოლით იღებდნენ, ანგრევდნენ მტრის საცეცხლო ხაზებს, რომელიც უწესრიგოდ გარბოდა. სოფელ ახალი უ-ის მთებიდან მტერი განიდევნა.

ბრძოლისას ქართულმა ბატალიონმა ხელთ იგდო საბჭოთა მრავალი ტყვე, მათ შორის არიან წითელი მეთაურებიც. მტერმა დასტოვა დიდძალი ვაზნები, ტანკსაწინააღმდეგო იარაღები, ხელის ყუმბარები, ტყვიამფრქვევები, ათეულობით ცხენები. ბატალიონმა ხელში ჩაიგდო აგრეთვე საბჭოთა ჯარის დოკუმენტები. ბატალიონის ოპერაციებს მეთაურობდა პირველი ქართველი ლეგიონერი პოლკოვნიკი მ. ბრძოლამ ახალ უ-ს მთებში ერთხელ კიდევ ცხადჰყო ქართველი ლეგიონერების ერთსულოვნება, ბრძოლის უნარი და თავგანწირვა სამშობლოსათვის.

მტერს ვერ უშველა აურაცხელმა მსხვერპლმა, დიდმა დანაკარგმა როგორც ცოცხალი ძალისა, ისე სამხედრო საჭურველისა. გერმანელმა მამაცმა ჯარისკაცებმა და ქართველმა ლეგიონერებმა მთლიანად აიღეს და გასწმინდეს მთები მტრის ნარჩენებისგან, გაამაგრეს პოზიცია, შეჰქმნეს მტკიცე საფუძველი მორიგი შეტევისათვის. ოპერაციები ჩატარდა სრული სიზუსტით და მაღალი საბრძოლო უნარით. ქართულმა ბატალიონმა კვლავ ცხადჰყო ერთგულება და თავდადება იმ ფიცის შესასრულებლად, რომელიც მისმა მებრძოლებმა მისცეს გერმანიის უმაღლეს სარდლობას, საკუთარ სამშობლოს. ახლა გმირული ბრძოლის დღეებში თვითეული ჩვენგანს მოაგონდა დაუვიწყარი წუთები, როცა პირველ ქართველ ლეგიონერს პოლკოვნიკ მ-ს. გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელმა გადასცა ქართული ეროვნული დროშა და გვისურვა ამ დროშის მიტანა მამულში. ჩვენ შევფიცეთ ამ დროშას ერთგულება, ამ ფიც ამართლებს ჩვენი ვაჟკაცური საქმეები. დროშას, რომელიც შეღებილია სახელოვანი წინაპრების სისხლით, იფერება ჩვენი ძმების ლეგიონერების უმანკო სისხლით. თვითეული ლეგიონერს ღრმად სწამს გამარჯვება, შვინდისფერი საყვარელი დროშა არ დაიხრება ძირს რაგინდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი არ იყოს მტერი.

კავკასიის მთებში ბრძოლა გრძელდება. 6 დეკემბერს დილით სოფ. ხ-ნო ჩვენს ხელში იყო. 7 დეკემბერს დილით გმირული ბრძოლის შედეგად ქართულმა ბატალიონმა აიღო სოფლები ს. და ჩ. 8 და 9 დეკემბერს გრძელდებოდა უკუქცეული მტრის ნარჩენებთან ბრძოლა. განადგურებული საბჭოთა ჯარმა ტყვეებს მისცა თავი.

4-11 დეკემბრამდე ბოლშევიკების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში რაინდულად დაეცა რამდენიმე ლეგიონერი, არიან დაჭრილებიც. ბრძოლაში მამაცობით თავი გამოიჩინეს ლეგიონერებმა: ა. ჯ-მ, ნ. დ-მ, ჩ-მ, შ-მ, მაიორმა ლ-მ, ხ-მ, ნ-ემ, კ. ბ-მა, ვ. ა-ძეს ს. ხ-მ და სხვებმა.

ქართული ბატალიონი გმირულად იბრძვის გერმანელი ჯარისკაცების მხარ-დამხარ. ვაჟკაცური და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის გმირული მაგალითებით, საქმეებით ალსავსეა ბატალიონის თვითეული მებრძოლი დღე.

ლეგ. შ. ქ.



კავკასიის ფრონტზე. სანგრებში.

## საზღვაო ომის შედეგები

მოკავშირეთა დანაკარგი ზღვაზე კოლოსალურია. განვლილ 1942 წლის მანძილზე ინგლის-ამერიკელთა სავაჭრო ფლოტმა გერმანიის შეიარაღებული ძალების მოქმედებით შემდეგი ზარალი განიცადა. წყალქვეშა ნავების მიერ ვანადგურებული და ჩაძირულია 1208 გემი, რომელთა საერთო წყალწყვა 7.586.500 ბრუტტო-ტონას აღემატება. საჰაერო ძალების მიერ ჩაიძირა მტრის 167 სავაჭრო გემი 985 ათასი ბრუტტო-ტონისა. მტრის ფლოტის საერთო დანაკარგი წლის განმავლობაში უდრის 8 მილიონ 940 ათასს ბრუტტო-ტონას. გარდა ამისა აგრეთვე დაზიანებულია მტრის 450-მდე გემი, რომელთა დიდი ნაწილიც შეიძლება ჩაითვალოს დაღუპულად.

საზღვაო დანაკარგი, რომელიც დაახლოებით 9 მილიონ ბრუტტო-ტონას აღწევს, წარმოადგენს ინგლისის და ამერიკის ფლოტის ზარალს წლის განმავლობაში. თუ შევაჯამებთ ზარალსა და იმ დანაკარგს, რომელიც მოკავშირეებმა განიცადეს ომის დაწყებიდან, ვნახავთ, რომ მათი დანაკარგი უდრის უკვე 23,7 მილიონ ბრუტტო-ტონას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ციფრში არ შედის საბჭოთა კავშირის საზღვაო დანაკარგი და ის ზარალი, რომელიც გერმანიის მოკავშირეებმა იტალიამ და იაპონიამ მიაყენეს მტერს. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომის დაწყების დღიდან დაჰკარგეს 27 მილიონი ბრუტტო-ტონა.

დეკემბრის თვის განმავლობაში გერმანიის საზღვაო ძალებმა ჩასძირეს მტრის 78 ხომალდი (447.800 ბრუტტო-ტონისა), ამ რიცხვიდან 72 ჩაძირულია წყალქვეშა ნავების მიერ. სულ დეკემბრის განმავლობაში იმ დანაკარგის ჩართვით, რაც მოცემულია უმაღლესი სარდლობის უკანასკნელ საექსტრენო ცნობებში, აზორის კუნძულებთან, ჩრდილო და სამხრეთ ატლანტიკის რაიონებში მტერთან ბრძოლისას, ჩაძირულია მოკავშირეთა 109 სავაჭრო გემი 634.800 ბრუტტო-ტონის წყალწყვით. ამასთანავე ერთად დეკემბერში ჩაძირული იქნა მტრის შემდეგი მნიშვნელოვანი სამხედრო საზღვაო ერთეულები: ერთი კრეისერი, 10 საზღვაო გამანადგურებელი, ერთი კორვეტი, ორი წყალქვეშა ნავი და რამდენიმე მოზრდილი გემი.

## ქაჯეთი ნესტანს გესლავდა

ქაჯეთი ნესტანს გესლავდა,
ნისლი ებურა კლდე-სალსა,
წყაროს ჩუხჩუხი ცრემლს ჰგავდა,
ქარი—ვაჟკაცის კვნესასა!..
მზე ვერ იჩენდა მზეობას,
დარი არ იდგა დარული,
ჩაკლეს ქართული მხნეობა,
სისხლი მოჩქეფდა ღვარული!..
შავი ძაძებით მოირთო
ქვეყანა მზის და მშვენების,
ბოროტმა ხელი მოითბო,
არავინ გაჩნდა მშველელი!..
ბოლოს აინთო კლდე-გული
ნაჭედი ოქრო-რვალითა,—
ტარიელ ქაჯეთს მიადგა
თავისუფლების ხმალითა!..
სთქვა: საქართველოს ლომნი ვართ,
შობილნი ქვეყნის მცველადა,
ხმალ შემართული მოვდივართ
ნესტანის დასახსნელადა!..
თავისუფლება ქალთა მზეს—
აი, მიზანი ნათელი,
მხარში მივყვებით ერთმანეთს
გერმანელი და ქართველი!..
ომში არ შედრკეს არც ერთი,
ესე ამბავი ძველია,
ღამის ბნელს გასჭრის ნათელი,
არსება მისი გრძელია!..

ლეგ. ვ. ურდოელი.

## ეს ჩვენი სამშობლოა

ვარდის ლალი შლილობა,
სურვილები ფრთა-ჩიტა,
მთები კოხტად შემკული
ათასფერი ფარჩითა;
ტანაყრილი ვერხვები
მთრთოლი ვერცლის წყალივით,
ვარსკვლავების ციმციმი
ტურფა ქალის თვალივით,
მწვერვალების სიმუნჯე,
ბილიკები, ხევი და
ცის სილურჯე-ნახატი
ფიროსმანის ხელითა;
სიუხვე და სურნელი
შემოდგომის ღამისა;
გლეხის ტკბილი „ურმული"
გულს მომდები ალისა;
ქართული სუფრის სიუხვე,
ღვინით სავსე სურები.
მთვარის ჩრდილქვეშ შეყრილი
ანთებული გულები,—
ყველა ერთ სახელშია,
ერთი ფერის მდელოა,—
ეს ჩვენი სამშობლოა,
ჩვენი საქართველოა!..

ლეგ. ვ. ბარელი.

## იაპონელთა გეგმები ფილიპინებზე

იაპონიის სარდლობა იუწყება იმ ამოცანათა შესახებ, რომელიც იაპონიის წინაშე დგას განსახორციელებლად 1943 წელს, ფილიპინის კუნძულებზე. სამხედრო ხელისუფლება გავრცელდება მთელს არქიპელაგზე, რისთვისაც 46 პროვინციაში დაინიშნება გუბერნატორი. დროებითი მთავრობის ფუნქციები, რომელსაც პრეზიდენტი ვარგასა ხელმძღვანელობს, კიდევ უფრო გაფართოვდებიან.

სამეურნეო დარგში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სამთო საქმეს, რომელშიც ჯერ კიდევ 1942 წელს მიაღწია სათანადო წარმატებას. ბამბის მოსაყვანი ფართობი ახალ წელს გადიდებული იქნება.

# ქართული თეატრი

ქართული თეატრის ისტორია შორეულ წარსულს ეკუთვნის, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენამდის თითქმის არ მოუღწევია ამის დამადასტურებელ ძეგლებს. შეუძლებელია ქართველ ერს, რომელიც მტკიცედ იყო დაკავშირებული კულტურული და ეკონომიურ - პოლიტიკური ურთიერთობით ძველ ბიზანტიასთან, რომთან, არ ჰქონოდა საკუთარი ნაციონალური თეატრალური ხელოვნება.

ქართული თეატრალური ხელოვნების პირვანდელი სახე უნდა ვეძებოთ ქართველი ხალხის სადღესასწაულო ჩვეულებებში, რომლებიც იმართებოდნენ ხოლმე ბუნების მოვლენათა ცვალებადობის გამო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილი იყო ე.წ. „ლაზარობა“, რომელიც სწარმოებს ზაფხულში გვალგვისა თუ დიდი წვიმების დროს—მასში მოცემულია თეატრალური ხელოვნების ჩანასახი;ასეთივეა „ყეენობა“და განსაკუთრებით „ბერიკობა“,რომელსაც ზეიმობენ ყველიერის გასულსა და ჩამოგავს ბერძენთა დიონისოს დღესასწაულს.

უნდა ითქვას, რომ ქართულ თეატრალურ ხელოვნების მეცნიერულად დამუშავებული ისტორია ჯერ კიდევ არ არსებობს. ერთ-ერთი ქართველ პროფესორის სიტყვით ერეკლე მეორის დროს ტფილისსა და თელავში იმართებოდა წარმოდგენები მეფისა თუ წარჩინებულთა სასახლეებში, იდგმებოდა ორიგინალური და ნათარგმნი პიესები, მაშინ თეატრის დარგში მოღვაწეობდა გიორგი ავალიშვილი, რომელმაც სთარგმნა რუსი დრამატურგის სუმაროკოვის პიესები; იმ დროინდელ ცნობილმა მოღვაწემ დავით ჩოლოყაშვილმა ფრანგულიდან თარგმნა ცნობილი დრამატურგის რასინის პიესა „იფიგენია“. მაგრამ ყველა ამას ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი.

ქართული პროფესიული თეატრი დაარსდა 1851 წლის 2 იანვარს გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით. ამავე დღეს დაიდგა მისივე პიესა „გაყრა“. სწორედ აქედან იწყება ქართული პროფესიული თეატრის ისტორიაც.

საქართველოში მაშინ იმყოფებოდა მეფის ნაცვალი კავკასიაში ვორონცოვი. ზოგიერთი ქართველი მოღვაწის აზრით ვორონცოვმა თითქოს ხელი შეუწყო ქართული კულტურისა და კერძოთ თეატრალური ხელოვნების განვითარებას, მაგრამ ეს არ არის მართალი. ყველასათვის ნათელია, რომ ვორონცოვი იყო საქართველოში გამარუსებელი პოლიტიკის ერთ-ერთი გამტარებელი, ამიტომ არ შეიძლება ყოფილიყო იგი ქა-



ლადო ალექსი-მესხიშვილი





**მარცხნივ:** ქართული თეატრის დამაარსებელი გ. ერისთავი
**მარჯვნივ:** ქართული თეატრის რეფორმატორი-რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

რთული ეროვნული თეატრის მფარველი.

ხელოვნების არც ერთს დარგს არ მიუძღვის ისეთი დიდი დამსახურება ქართველი ერის ნაციონალურ გათვითცნობიერების საქმეში, როგორც ქართულ თეატრს. იგი წარმოადგენდა ქართველი ერის ნაციონალურ ტრიბუნას, საიდანაც მოისმოდა ჭეშმარიტი ქართული სიტყვა.

მეტად აუტანელ პირობებში უხდებოდა ქართულ თეატრს მუშაობა თვითმპყრობელობის დროს. აბუჩად აგდებული ქართული ენა, განდევნილი სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ერთადერთ თავშესაფარს ჰპოებდა მხოლოდ ქართულ თეატრში.

1879 წელს თბილისში დაარსდა მუდმივი დასი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ილია ჭავჭავაძე, დიმ. ყიფიანი, აკაკი წერეთელი, მაგრამ ეს მუდმივი დასი მალე დაიშალა, რის შემდეგ თეატრს სათავეში ჩაუდგნენ ვასო აბაშიძე და კოტე მესხი.

ქართული თეატრი უბინაობას განიცდიდა იმ დროსაც კი, როდესაც საქართველოში მენშევიკები იყვნენ ხელისუფლების სათავეში. საკუთარი ბინისა და რეპერტუარის უქონლობა მეტად უშლიდა ხელს თეატრალურ ხელოვნების განვითარებას.

ქართველი დრამატურგები იყვნენ გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი. ამ ორმა ადამიანმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენს დრამატიულ მწერლობას; მალე მათ მიემატათ აქვსენტი ცაგარელი და გ. სუნდუკიანცი. უკანასკნელი პიესებს სწერდა ჯერ ქართულად და შემდეგ თარგმნიდა მას სომხურ ენაზე.

ქართული თეატრისათვის პიესებს სწერდნენ აგრეთვე ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ალ. ყაზბეგი, ნ. შიუკაშვილი, ტრ. რამიშვილი, ი. გედევანიშვლი. გარდა ორიგინალური პიესებისა ქართული თეატრი უმთავრესად იკვებებოდა გადმოკეთებულ და თარგმნილი პიესებით; მათგან პირველი ადგილი ეჭირა სარდუს პიესას „სამშობლო„-ს, რომელიც გადმოკეთებულიიყო ერისთავის მიერ. ეს პიესა რამოდენიმე ათეული წელიწადი იდგმებოდა ქართულ სცენაზე და დიდ როლს თამაშობდა ქართველი ერის ნაციონალური გათვითცნობიერების საქმეში. ამავე გზას ადგა ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნიაც; მან მოხდენილად გადააკეთა და შეჰქმნა სავსებით ახალი პიესა „და-ძმა“. თარგმანის დარგში ნაყოფიერად მუშაობდნენ ივ. მაჩაბელი, რომელმაც ი. ჭავჭავაძესთან ერთად თარგმნა შექსპირისა და შილერის პიესები; მაჭავარიანმა თარგმნა ფრანგული პიესა „ტარტიუფი“. ალ. სუმბათაშვილმა შესძინა ქართულ თეატრს ცნობილი პიესა „ღალატი“, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად ქართულ სცენაზე.

ქართული თეატრის მშვენება და მისი მამოძრავებელი ღერძი იყვნენ საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ე. ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია, ნუცა ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი, ნ. გოცირიძე.

ვასო აბაშიძე იყო ნიჭი და ბურჯი ქართული თეატრისა,რომელსაც მან მთელი 50 წელიწადი ემსახურა.

თუ რა ნივთიერ სიდუხჭირეს განიცდიდა ქართული თეატრი და მისი მედროშე ვასო აბაშიძე ეს იქიდანაც ჩანს, რომ რაღაც 500 მანეთის უქონლობის გამო უნდა ჩაშლილიყო სასურველ პიესის დადგმა. აი რას ამბობს ამის შესახებ თვითონ ვასო აბაშიძე: „...ერთხელ საქმის მოსაწყობად დაგვჭირდა ხუთასი მანეთი... პირდაპირ უიმედობას ვეძლეოდით... რაკი არ ხერხდებოდა ამ ფულის მოპოება; თავი უნდა დაგვენებებინა განსაზღვრული წარმოდგენებისათვის და ისევ გველეჭა ძველი პიესები... ის იყო გავსწმინდეთ ყოველივე იმედი ფულის საპოვნელად,რომ ვიღაცამ გვირჩია მიგვემართა ივანე მუხრანელისათვის...

—ოჰ, ვასო! გამარჯობა! დაბრძანდი!.. მაგრამ ეს მითხარი, სად ისწავლე, ბიჭო, ისეთი, ხტუნვა შენ რომ ამას წინად იმ პიესაში შეხტი? ვისთან ისწავლე? ----- თუ გიყვარდე, ვასო, ერთი მაშინდებულად შეხტი, შეხტი თუ გიყვარდე! და მოხუცებული განაგრძობდა ხითხითს, მე კი სახტად დარჩენილი ვიჯექი და ერთი წყვეტაში ვიყავი, შევხტე, ვასიამოვნო მისი სურვილის ასრულებით—მე მაიმუნი გამოვდივარ,მაიმუნივით მათამაშებს; არ შევხტე—დაიკარგა იმედი ხუთასი მანეთის მოპოების და საქმე ჩაგვეშალა. ეჰ, ჯანდაბას, რაც იქნება—იქნება, ოღონდ სახსარი ვიშოვოთ; დავსძლიე ჩემს თავს და ერთი შევხტი მოხუცის წინ. მუხრანელის სიამოვნებას საზღვარი არ ჰქონდა...

1920 წელს ქართული თეატრი შემოქმედებითი კრიზისს განიცდიდა; ქართულ თეატრს რაღაც აკლდა. ეს იყო რეჟისორი. მართალია, რეჟისორებად ითვლებოდნენ ჩვენში კ. ანდრონიკაშვილი, ალ. წუწუნავა, მ. ქორელი, ა. ფალავა, მაგრამ მათ კვალი ვერ დააჩინეს ქართულ თეატრს. — საქართველოში რუსეთის შემოჭრის შემდეგ, ქართველ მოწინავე ინტელიგენციის დაწოლის შედეგად საქართველოს საბჭოთა მთავრობა იძულებული შეიქმნა ხელოვნების ამ დარგისათვის მიექცია ჯეროვანი ყურადღება.

1922 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში შესდგა ხელოვნების მუშაკთა საგანგებო თათბირი. თათბირზე გადაწყდა ქართული თეატრის დროებით დახურვა; ამ დროს თბილისში რუსულ ენაზე წარმოდგენას მართავდა რუსეთსა და უკრაინაში ცნობილი, ნიჭიერი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. მან თათბირზე განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია თეატრის დახურვის და მოითხოვა ახალი გზის მოძებნა.

კოტე მარჯანიშვილმა პირობით აიღო ერთი დადგმა; აირჩია ზ. ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“. თეატრს აუარებელი ხალხი მოაწყდა. აუდიტორია ხანგრძლივ ოვაციას უმართავდა მსახიობებს და რეჟისორს. ამას მოჰყვა მთელი რიგი დადგმები, როგორიცაა: „ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, „ყაჩაღები“, „ლონდა“, „ლამარა“, „მალშტრემ“ და სხვ.

კოტე მარჯანიშვილის გენიას უნდა მიეწეროს ქართული ნაციონალური თეატრის აღდგენა, იგი არის ქართული თეატრის უდიდესი რეფორმატორი, რომელმაც თეატრი გამოიყვანა ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოდან და გვერდში ამოუყენა მსოფლიო თეატრებს.

კ. მარჯანიშვილმა სცენის ცენტრალურ ფიგურად მსახიობი აღიარა; უკვე გამოჩნდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები—უშანგი ჩხეიძე, თამარა ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე.

კოტე მარჯანიშვილმა შექმნა საკუთარი სკოლა, რომელშიაც აღიზარდნენ ნიჭიერი რეჟისორი ალ. ახმეტელი, ვახტანგ აბაშიძე და სხვ.

თეატრი ყოველ ეპოქაში, ზრდიდა და ზრდის საზოგადოებას, ამიტომ გასაგებია თუ რა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მას. ქართველი ლეგიონერები, მოწყვეტილნი თავის სამშობლოს, ოჯახს, მოიგონებენ ამ მნიშვნელოვან თარიღს, ქართულ თეატრალურ ხელოვნების დღეს.

ქართული თეატრი, რომელიც მთელი წლეების განმავლობაში კრიზისს განიცდიდა, მომავალ ახალ საქართველოში კვლავ გადაიქცევა ქართული ეროვნული სიტყვის ტრიბუნად.

დღეს ქართული თეატრი თავის საყვარელ ერთან ერთად გლოვობს, დასტურის მკერდიდან მოწყვეტილ შვილებს, მაგრამ შორს არ არის ის დღე, როცა ქართული სცენიდან კვლავ დაიქუხებს ხმა ქართველი ერის გამარჯვებისა.

**ლეგ. ი. კოლხელი**



ვასო აბაშიძე

# გიორგი ბრწყინვალე

საქართველოს უსაზღვრო ბედნიერებასა და აყვავების თამარ მეფის შემდეგ დიდი უბედურება მოჰყვა. 1220 წელს საქართველოს ცეცხლის რკალად შემოერტყნენ მონღოლთა სასტიკი ურდოები. მრისხანე ჩინგის-ხანი ცეცხლითა და მახვილით შეუდგა კავკასიაში მოსახლეერების დამონებას, გაჩანაგებას. ულმობელი მტერი ქართველი ხალხის სისხლით რწყავდა ველებს, ანგრევდა დიდებულ ტაძრებს, სწვავდა ქალაქებსა და სოფლებს, აოხრებდა ყოველივე ქართულს, ქრისტიანულს.

მამულის სიყვარულით შთაგონებული ქართველი ერი გმირულად ებრძოდა მტერს, თავგანწირვით იცავდა მშობელ მიწას. ქართველთა ერთი მუჭა რაზმები რაინდულად იჭრებოდნენ მრავალრიცხოვანი მტრის ურდოებში, ხმალ და ხმალ ხვდებოდნენ მას, ეწირებოდნენ სამშობლოს. მაგრამ მონღოლები შეუბრალებელნი და ძლიერნი იყვნენ. ჩინგისხანისაგან მოყენებული აოხრება მძიმე ლოდათ აწვა საქართველოს, ისევ იწვოდნენ დარბეული სოფლები, ხალხის თვალში ჯერ არ გამშრალიყო ცრემლი, რომ 1226 წელს კვლავ ინთება აოხრების ცეცხლი. თბილისში იჭრება სასტიკი დამპყრობელი სელჯუკთა ერთ-ერთი სულთანი ჯელალედინი, რომელსაც ქვა-ქვაზე არ დაუტოვებია ქალაქში. ქართველი ხალხი ისევ იბრძოდა ჯელალედინის წინააღმდეგ, რომ საქართველოზე კვლავ ლესდნენ მახვილს მონღოლთა ახალი ურდოები. 1235 წელს ისინი შემოესივნენ საქართველოს, დაიპყრეს და ნაცარ-ტუტად აქციეს იგი. ნოინები გახდნენ მბრძანებლებად, მამულს დაადგეს მძიმე უღელი, დააკისრეს ურიცხვი ხარკი.

მტერმა ესეც არ აკმარა საქართველოს მონღოლები კარგად გრძნობდნენ იმ საფრთხეს, რომელსაც მათ უქმნიდათ ერის ერთიანობა. ამიტომ იყო, რომ ისინი ასე ულმობელის ხელით შეეცადნენ იმ საძირკველის ამოგდებას, რომელიც ერის სიმტკიცეს ჩაუდგეს დავით აღმაშენებელმა და თამარ მეფემ. მტერი ცდილობდა განხეთქილების დანერგვას, მიმართავდა მუხანათურ ხერხებს. ბოლოს და ბოლოს მან ესეც მოახერხა. საქართველოს სამეფო ორად გაიჭრა. განცალკევებას მოჰყვა შინაური ბრძოლა, დასუსტება, ერის დაქვეითება. მართალია, ქართველი დიდებულები კვლავ იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, მაგრამ აქედან არაფერი გამოდიოდა, მიწა სისხლით ირწყვოდა, მამულში ისევ ღვიოდა მტრის მიერ დანთებული განადგურების ცეცხლი.

ჩვენი წამებული ერის ისტორიის ფურცლებზე აღბეჭდილა მრავალი შესანიშნავი მამულიშვილური ბრძოლა მონღოლთა წინააღმდეგ. დიმიტრი მეფე, რომელსაც ხალხმა თავის დროზე სამართლიანად უწოდა თავდადებული შეეწირა ერის დიდებას. საქართველოში თარეშობდნენ ველური მონღოლები, მბრძანებლობდა ყეენი არღუნი. ცბიერმა ყეენმა თავის სარდლებთან ერთად დიმიტრი მეფესაც შესწამა მოღალატეობა, სარდლები საიდუმლოდ დაახოცვინა, მეფეს კი მრისხანედ შემოუთვალა: გამოცხადდი ყეენთან, თორემ შენი სამეფო ნაცარ-ტუტად ვაქციოო. დიმიტრის აწუხებდა ერის ბედი, იგი საგონებელში ჩავარდა. მერე მოიწვია კათალიკოსი, დიდებულნი და ითხოვა რჩევა. „შევებრძოლოთ მტერს, ნუ დაგვაობლებ, თუ ურჯულონი დაგვძლევენ მთებში გავიხიზნოთ“ — ემუდარებოდნენ ისინი მეფეს. დიმიტრი გრძნობდა, რომ ბრძოლა ნიშნავდა ერის დაღუპვას. ჩემს სამეფოს ვერაგი ყეენი ცრემლისა და სისხლის ზღვად გადააქცევს — გაიფიქრა მან და არ ათხოვა ყური ხალხის მოთხოვნას. მეფე ეახლა ყეენს, მას თავი მოჰკვეთეს, მან რაინდულად შესწირა მამულს თავისი სიცოცხლე.



ანანურის ციხე-სიმაგრე

სწორედ იმ დროს, როცა დიმიტრი მიდიოდა დარბაზისაკენ, სადაც ონავარი ყეენი ისხდა, ახალციხისაკენ მიმავალ შარაგზაზე მის მეუღლეს მიჰყავდა შვიდი წლის გიორგი, სამშობლოს მომავალი მხსნელი, შემდეგში გიორგი ბრწყინვალედ წოდებული. განათლებულმა ქართველმა დედამ სახელოვნად აღზარდა შვილი. ჭაბუკი ოცნებობდა შური ეძია სისხლის მსმელ მტერზე, მას აღელვებდა თავდადებული მამის გმირული საქმეები, დაეხსნა მამული. გიორგიში მალე გამოვლინდნენ ის მაღალი ბუნებოვანი, უკეთილშობილესი ქველმოქმედი გრძნობანი, რომლითაც აღჭურვილნი იყვნენ წინაპარი მეფენი. ერი შეჰხაროდა გიორგის დავაჟკაცებას. გახდა იგი სრულწლოვანი თუ არა ავიდა მამის ტახტზე. ჭაბუკმა მეფემ ბრძნულად იწყო სამეფოს მართვა. პირველ რიგში მან საზღვარი დაუდო ოსების თავხედობას. ცნობილია, რომ მეფე დიმიტრის სიკვდილის შემდეგ, ოსებმა ხელი მიჰყვეს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების რბევას, ძარცვა-გლეჯას. გიორგიმ რამდენჯერმე გაანადგურა ავაზაკი ოსები, არეკა ისინი მთაში, დაადო დიდძალი ხარკი და თავისი ერისთავები დაუყენა. ბრძენი მეფე განაგრძობს ერის აღორძინებისათვის ბრძოლას. მან აღაგმა თავგასული მთავრები, ბოლო მოუღო ქიშპსა და უნდობლობას, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ერის სასიცოცხლო ძალების დაქსაქსვა, დაქვეითება. საერისთაოების მმართველად შეარჩია უნარიანი ერისთავები, ჩინებულად მოაწყო სასულიერო საქმეები, დაამყარა სრული წესრიგი.

იმერეთში მაშინ დაიბადა დიდი უთანხმოება. ხალხი ემდუროდა იქაურ მეფეს. იყო ქიშპი და ცილობა. იმერელი ხალხი დახმარებას თხოვდა გიორგის. უკანასკნელმა შეჰკრიბა მრავალრიცხოვანი ჯარი, გადალახა სურამის უღელტეხილი, დაატყვევა მეფე, გახადა იგი თავის ერისთავად და დასავლეთი საქართველო შემოიერთა. კვლავ ამოვიდა საქართველოს გაერთიანების სხივმოსილი მზე, ერი ნელ-ნელა იბრუნებდა დაკარგულ დიდებას, ამრთელებდა მტრისაგან მოყენებულ ჭრილობებს, ბრძმედდა თავის ძალას. მომაგრდა თუ არა მამული, გონებაგამჭრიახმა მეფემ აღარ დააყოვნა. შეჰკრიბა ლაშქარი, აღანთო ქართული მიწის შვილები სამშობლოს განთავისუფლების მხურვალე წყურვილით, აიღო ნაქები ხმალი და წარუძღვა ხალხს. გიორგი მეფე გამარჯვების რწმენით აღვსილი მიდიოდა ბრძოლის ველზე. მან რამდენიმე გმირული ომი გადაიხადა. რიცხვობრივად მცირემ, მაგრამ სულიერად გაუტეხელმა ქართველთა ლაშქარმა, რომელსაც თაოსნობდა რაინდი და ჭკვიანი მეფე, სძლია ურჯულო მტერს. მონღოლები გარეკილ იქნენ საქართველოდან, საუკუნო მტერი მოშორდა მამულს, ხალხმა ამოისუნთქა, მრავალგზის დატანჯული მამული ეღირსა ოცნების ასრულებას, მიაღწია ეროვნულ დამოუკიდებლობას.

გიორგი ბრწყინვალე სამშობლოს აღორძინებით აღფრთოვანებული, აგრძელებს მამულიშვილურ ბრძოლას. მისი ხმალი და ვაჟკაცი მკლავი შებმია მრავალი ჯურის მტერს, მის ლაშქარს დაულეწია მტრის სიმაგრენი, შეჭრილა შორეულ მიწებზე და უზეიმნია უძლეველობა. გიორგის სიძლიერე და საბრძანებელი კასპის ზღვამდე ვრცელდებოდა.

ლეკები ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ისინი ხშირად ქურდულად ესხმოდნენ ქართლს თავს. გიორგი ბრწყინვალემ მათ თარეშსაც მოუღო ბოლო. დაამარცხა მოუსვენარი ლეკები, შემუსრა მათი ლაშქარი, წაართვა იარაღი, სამუდამოდ დაუკარგა ძარცვა-გლეჯის სურვილი და დიდი ხარკი დაადო.

გიორგი ბრწყინვალის ხმალისა და გონების სიმახვილით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მე-14-ე საუკუნეში საქართველო კვლავ აღადგენს დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროის სიძლიერეს. გიორგის ხანა საქართველოს ისტორიაში წოდებულია ქართველი ერის აღორძიენბის ხანად. იმ ხანგრძლივი ჩაგვრისა და დაქვეითების შემდეგ, რომელიც მონღოლთა ბატონობით განიცდიდა საქართველომ, კვლავ აღსდგა ერის სასიცოცხლო ძალა, შეიკრა სამეფო, გზა გაეხსნა გაძლიერებისაკენ. გიორგის მეფობის დროს გაერთიანებული საქართველო მზად იყო არა მარტო პასუხი გაეცა შემოსეულ მტრისათვის, არამედ თავისი ძალა ეჩვენებინა მეზობელი ქვეყნებისათვისაც. კავკასიის მთების აქეთ, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაშლილი გიორგი მეფის საბრძანებელი.

მეფემ სძლია რა გარეშე მტრებს, შექმნა პირობა ერის აღორძინებისათვის. თავდადებით შეუდგა ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობის მოწესრიგებას. გიორგი ბრწყინვალეს ეკუთვნის ცნობილი კანონები: სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის, ზნეობისა და ქვეყნის სამსახურის შესახებ. ეს კანონები შეკრებილი იქნა და გამოიცა კრებულის სახით, რომელიც ისტორიაში იწოდება „ძეგლის დებათ“. ეს კანონები ადასტურებენ გიორგი ბრწყინვალის მაღალ გონიერებას, მაშინდელი საქართველოს ეროვნულ სიძლიერეს.

გიორგი ბრწყინვალემ 28 წლის განმავლობაში მართა შეერთებული და აღდგენილი საქართველო, იგი გარდაიცვალა 1346 წელს.

მონღოლების ბატონობისაგან გაჩანაგებული საქართველო ჰგავდა ნაცეცხლარ კერას, რომელზედაც ეყარა ჩვენი დიდების ფერფლი, უსიცოცხლო ნახშირი და ამ ფერფლში თურმე კიაფობდა სადღაც ობოლი ნაღვერდალი, ინახავდა ძალას მომავლისათვის—იგი იყო გიორგი ბრწყინვალე: გაღვივდა ნაღვერდალი, მოიკრიფა ძალა, აანთო მხურვალე ალი, სამშობლოს ჩამქრალი კერა გაჩაღდა, სამკვდროდ დახუჭული თვალები გახივოდნენ. აღსდგა ერი. გამარჯვების ღრმა რწმენით და გამოსჭედა თავისი უძლეველობა. ამ ძალის წყარო იყო საქართველოს გაერთიანება, ხოლო სათავე სიბრძნე რაინდი მეფისა.

გიორგი ბრწყინვალე შესანიშნავი მეფეა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ხანა, რომელიც გიორგიმ დააგვირგვინა ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის ერთერთი ბრწყინვალე ნიმუშია. უსაშინელეს მტრებთან მონღოლებთან საქართველოს ხანგრძლვი ბრძოლა და მათზე გამარჯვება, რაინდული საქმეები მამულის აღორძინებისათვის, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს საკუთარი ხმლით გადაუხდია, გვიჩვენებს რაოდენი ძალა ტრიალებდა ქართველ ხალხში.

მოვიგონებთ რა გარდასულ ჟამს, ჩვენს თვალწინ გადაიშლებიან გიორგი ბრწყინვალის საარაკო გმირობანი. ნუთუ ქვეყანა, რომელსაც ასე წარმტაცი წარსული, ვაჟკაცური ტრადიცია აქვს, მონობაში უნდა იყოს? ახალგაზრდა თაობას, რომელსაც აღუმართავს იარაღი სამშობლოს განთავისუფლებისათვის, ბრძოლის ველზე მიუძღვის წინ წინაპართა სახელოვანი ადათი. გიორგი ბრწყინვალის ტრადიციები სცოცხლობენ ჩვენში, ჩვენი ძმების საგმირო საქმეებში, ახლა რომ იქმნებიან ტყვიის ცეცხლში, სისხლის ღვარში მამულის ხსნისათვის.

ლევ. ლ. ლინი.



მცხეთა

## მოკლე ცნობები

▲ჩუნკინგის გზათა მიმოსვლის მინისტრი ლინნ-შინ-ლანგს მიესაჯა სიკვდილით დასჯა. მან გაფლანგა და მიითვისა 30 მილიონი ჩინური დოლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო საქონელის გადასაზიდათ ბირმის გზაზე.

▲ტანჟერიდან მილებული ცნობებით ამერიკელებმა ალჟირში დაარსეს საზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის ამოღება - დამუშავებისათვის. საზოგადოება იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების არმიის უმაღლესი სარდლობის კონტროლის ქვეშ.

▲30 დეკემბერს ლონდონში გარდაიცვალა 60 წლის ნევილლ ჰენდერსონი, ომამდე ბრიტანეთის ელჩი გერმანიაში.

▲დომეის სააგენტოს ცნობით ნანკინიდან, იაპონიის ელჩმა შიგიმიტსუმ ინახულა პრეზიდენტი ვან-შინ-ვეი. საახალ წლო მილოცვათა შემდეგ, ორივე სახელმწიფოს წარმომადგენელთა შორის მოეწყო საუბარი, რომელმაც ერთ საათს გასტანა.

▲ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო დეპარტამენტის ცნობით იმ კატასტროფის ჩათვლით, რომელიც მოხდა ნავთსადგურ პირლ-ხარბურთან, ამერიკის ფლოტის დანაკარგი უდრის 20.397 კაცს, მოკლულია 5.909, დაჭრილია 3441, ხოლო უგზო-უკვლოდ დაკარგულია 11 047 კაცი.

▲სტოკჰოლმიდან მილებული ცნობებით უკანასკნელ ხანებში ხშირად აქვს ადგილი პორტუგალიის ნეიტრალიტეტის დარღვევას მოკავშირეთა საჰაერო ძალების მიერ. კვირას, 27 დეკემბერს, პორტუგალიის ტერიტორიაზე გადმოფრინდნენ ამერიკელთა სამი თვითმფრინავი.

▲არაბეთის რადიოს ცნობით ტუნისში მცხოვრებ ებრაელთათვის დაწესებულია კონტრიბუცია 20 მილიონი ფრანკის რაოდენობით. ეს თანხა მოხმარდება არაბთ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, რომელთაც ზარალი და გაჭირვება განიცადეს ინგლის-ამერიკელ ოკუპანტებისაგან.



შორეული ზღვების სანაპიროებზე. გერმანიის სამხედრო გემები.

## ტორპედმზიდი თვითმფრინავები

იტალიის ჯარის უმაღლესი სარდლობის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, იტალიის ტორპედმზიდმა თვითმფრინავებმა მიაღწიეს ბრწყინვალე შედეგებს, ინგლის - ამერიკელთა ქარავნების წინაალმდეგ საფრანგეთის ჩრდილო აფრიკის სანაპიროებთან.

იტალიაში ფაშიზმის გამარჯვების შემდეგ, დუჩეს ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა ძლიერი და ბრძოლის უნარიანი არმიის შექმნა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საჰაერო ფლოტის განვითარების საქმეს. იტალიის თვითმფრინავების მამაცი გადაფრენები ოკეანეზე საჰაერო ფლოტს მარშალის ბალბოს მეთაურობით, აბისინიის ომი, მონაწილეობა ესპანეთის სამოქალაქო ომში, იტალიელი მფრინავების გმირობა აღმოსავლეთის ფრონტზე და ხმელთა-შუა ზღვის ვრცელს საჰაერო სივრცეებზე—ყველა ესენი წარმოადგენენ იმის ჭეშმარიტ დადასტურებას, რომ დუჩეს მიერ დასახული ამოცანა წარმატებით შესრულდა.

იტალიის ავიაციამ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ტორპედო მზიდ თვითმფრინავების დარგში. ამ საქმის მფრინავებს მოეთხოვებათ უდიდესი უნარი და გულისყური. ტორპედოს მოხვედრა მტრის გემზე მოითხოვს დიდ გულისყურს და სიმამაცეს. მფრინავი უნდა მიუახლოვდეს მიზანს უმოკლეს მანძილზე და მხედველობაში მიიღოს როგორც თავისი თვითმფრინავის, ისე მტრის გემის სიჩქარე, მიუხედავად მტრის ძლიერ საზენიტო საარტილერიო ცეცხლისა მიმართოს თავისი თვითმფრინავი დასახულ მსხვერპლისაკენ, ჩამოაგდოს თავისი გამანადგურებელი ტვირთი მხოლოდ უკანასკნელ მომენტში.

მრავალრიცხოვანი გამარჯვებები, რომელიც ამ უკანასკნელად მოიპოვეს იტალიის ტორპედმზიდმა თვითმფრინავებმა ნათლად ამტკიცებენ ამ ახალი საბრძოლო იარაღის უძლეველობას.

## გასართობი

### სიტყვათა შეჯვარება № 13



#### ჰორიზონტალური.

1 ცნობილი ქართველი მომღერალი, 5. ინგლისელი პოეტი, 7. თხრობა, 11. ცუდად ყოფნა, 12. ცნობილი ენათმეცნიერის გვარი, 13. (მარჯვნიდან მარცხნივ) უმაღლესი სასულიერო პირი რომში, 14. (მარჯვნიდან მარცხივ) ზედა კიდური, 17. ჰომერის ცნობილი მითოლოგიური ნაწარმოები, უკანასკნელი ასოს გამოკლებით, 18. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდება მიცემითს ბრუნვაში, 19. იტალიელი მხატვარი.

#### ვერტიკალური.

1. სახელმწიფო მცირე აზიაში, 2. აქვს ტანსაცმელს, 3. კურორტი ზემორაჭაში, 4. გარეული ცხოველი, 6. უძველესი სახელმწიფო, 8. დიდი ნავთსადგური საფრანგეთში, 9. არომატიანი ტკბილი სასმელი, 10. ბინა, 13. მაჰმადიანური სარწმუნოება, უკანასკნელი ასოს გამოკლებით, 14. „გასჭერ ჩემო...“, 15. (ქვემოდან ზემოდ) ქართული თამაშობა, 16. ძე ადამისა.

### სიტყვათა შეჯვარება № 11 ახსნა

#### ჰორიზონტალური.

1. თორნიკე, 3. ქსელი, 6. ავი, 12. ბასი, 13. ხანა, 16. რის, 17. ბანკი, 18. ქუთაისი.

#### ვერტიკალური.

2. ნევა. 4. იალბუზი, 7. შტრაუსი, 8. ივანე (ჯავახ.), 9. კანონ(ი), 10. ასი, 11. რად (ბორბალი), 14. ბინა.

#### ჯვარედინი.

5. იაპონია, 15. სოფოკლე.



ახალი წლის ღამეს

## მაროკოს სამეურნეო მნიშვნელობა

ინგლის-ამერიკელთა შეჭრამ მაროკოში გააცხოველა მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ ქვეყნის მიმართ. მაროკოს, რომელიც იმყოფება საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ, უჭირავს 415 000 კვ. კილომეტრი, 6,4 მილიონი მცხოვრებით.

საფრანგეთის ჩრდილოეთი აფრიკა, რომელსაც მაროკოს გარდა ეკუთვნის აგრეთვე ალჟირი (2,2 მილიონი კვ. კილომეტრი და 7,4 მილიონი მცხოვრებით) და ტუნისი (125,130 კვ. კილომეტრი, 2,7 მილიონი მცხოვრებით) მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტროპოლიასთან.

მაროკო საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება 1902 წლიდან. სამეურნეო მნიშვნელობით იგი უფრო საყურადღებოა, ვიდრე ზემოთ მოხსენებული ორი ოლქი ჩრდილო აფრიკისა.

მაროკოს კლიმატური პირობები მეტად ხელსაყრელია; მისი სამხრეთი ოლქები დაკავშირებულნი არიან ატლანტიის ოკეანის გავლენასთან. ხოლო ატლასის მთები კი იცავენ მას სახარის გამანადგურებელი ქარებისაგან. თავისი კლიმატური პირობებით და მცენარეულობით მაროკო ხმელთაშუა ზღვის ტიპიურ ქვეყნებს მიეკუთვნება.

ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება დაყრდნობილია სოფლის მეურნეობაზე, როგორიცაა: მიწად - მოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა - მეღვინეობა და მეჯოგეობა. ყოველწლიურად ამუშავებენ 3,6 მილიონ ჰექტარ მაროკანულ ნიადაგს, მაგრამ მიწის დიდი რაოდენობა რჩება დაუმუშავებელი.

ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებისა და მოსახლეობის ზრდის შედეგად წლიდან-წლამდე იზრდება სათესი ფართობი, რომელზედაც მოჰყავთ პურეული და სიმინდი. მთელმა რიგმა ტომებმა, რომლებიც წინად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, დაიწყეს მიწის დამუშავება.

მევენახეობისათვის გამოყოფილია 7,9 მილიონი ჰექტარამდე, ტყეს უჭირავს 2 მილიონი ჰექტარი და ჭაობს — 92 000 ჰექტარი.

1927 წლიდან 1937 წლამდე პურეულისა და სიმინდის საშუალო მოსავალი აღწევდა 19,37 მილიონამდე ცენტნერს. მაროკოს გაჰქონდა 3,19 მილიონი ცენტნერი პური, უმთავრესად საფრანგეთში.

მაროკოდან პურის გატანის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ საფრანგეთში გლეხები ამუშავებდნენ მიწის მცირე რაოდენობას, როცა მაროკოში ყოველწლიურად ფართოვდებოდა სათესი ფართობი.

1931 — 1935 წლებში პურეულის სათესს ფართობს ეჭირა 3,1 მილიონი, ხოლო 1937 წელს 3,7 მილიონამდე ჰექტარი.

მევენახეობა - მეღვინეობა მაროკოში დაიწყო 1930 წლიდან, ხოლო ღვინის გატანა სხვა ქვეყნებში 1934 წლიდან. უკანასკნელ ხანებში აქ გაშენებულია 18 მილიონი ძირი ვაზი, რომელსაც უჭირავს 25 000 ჰექტარი.

1938 წელს ღვინის მოსავალი უდრიდა 772 842 ჰექტოლიტრს; ამ რაოდენობიდან 400 000 ჰექტოლიტრი მოხმარდა ქვეყნის ადგილობრივ მოთხოვნილებას. სხვა და სხვა ქვეყნებში გატანილი იქნა 120 000 ჰექტოლიტრი, დანარჩენი, ე.ი. 180 000 ჰექტოლიტრი მოხმარდა სპირტის გადამუშავებას. ასეთი თავბრუდამხვევი მიღწევანი აიხსნება მაროკანული ღვინის მაღალი ხარისხიანობით.

მიუხედავად იმისა, რომ მეჯოგეობისათვის მაროკოში არსებობს ხელსაყრელი კლიმატიური პირობები. სოფლის მეურნეობის ამ დარგს სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და წახალისება. მაროკოელები ცუდი მეჯოგეები არიან. ხორცის, მატყლის, ტყავისა და საერთოდ მეცხოველეობის სხვა პროდუქტების გატანა აქ არავითარ როლს არ თამაშობს.

ჯოგის დიდი ნაწილი და საერთოდ მეჯოგეობა სავსებით ადგილობრივი მოსახლეობის ხელშია, რომელიც არ ზრუნავს ჯიშის გაუმჯობესებაზე.

არ შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიურ ვითარებაში მარტო სოფლის მეურნეობა იყოს ქვეყნის ცხოვრების მთავარ საფუძვლად.

სოფლის მეურნეობა ძალზე ზარალდება ხშირი მოუსავლიანობით, მიმოსვლის ქსელის სიმცირით და რაც მთავარია, მოსახლეობის კულტურული ჩამორჩენით, სამეურნეო საქმის მოუწესრიგებლობით.

ასეთია მაროკოს ეკონომიური ცხოვრება.

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ლეგ. გაი მადაურიძე
წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung, Berlin W 35, Am Karlsbad 28

გამოცემა: Deutscher Verlag, Berlin.